პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 23 დეკემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

292 (990) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფის ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ასეთი მოპყრობა მშრომელთა ქონებისადმი ყოვლად დაუშვებელია.

წითელი არმია მუშების და გლეხების ინტერესების და თავისუფლების დამცველი არმიაა. და არა თუ ომიანობის დროს, მშვიდობიან პირობებშიც წითელი ჯარი უნდა ზრუნავდეს მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე, ხელს უწყობდეს საერთო აღმშენებლობას. ის ყოველმხრივ უნდა სცდილობდეს თავის კავშირის განმტკიცებაზე მშრომელთა ფართე მასასთან. თავის მოპყრობით, თავის დამოკიდებულებით გლეხობასთან და მუშებთან წითელ არმიამ უნდა აგრძნობინოს მათ, რომ ის მართლადაც მშრომელი ხალხის ერთგული შვილია, რომელიც მუდამ და ყოველთვის მხნედ დგას მათი ინტერესების სადარაჯოზე. და უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა წითელმა ჯარმა დიდ წარმატებებს მიაღწია მოსახლეობასთან დაახლოვების საქმეში. ნაყოფიერად მიმდინარეობს საშეფო მუშაობა და სოფელთან კავშირის სხვა და სხვა დარგის საქმიანობაც. მაგრამ სამწუხაროთ, როგორც სჩანს არა ყველას შეუგნია ყოველივე ზემოთ ნათქვამი.

რედაქციას ხელთ აქვს რამოდენიმე ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ნაწილებში ადგილი აქვს მოსახლეობის ქონებისადმი დაუშვებელ მოპყრობას. ასე მაგალითად ერთერთ ნაწილიდან გვატყობინებენ, რომ ყაზარმის ეზოში შემოსულ რომელიმე მოსახლის ღორს ან ქათამს იქვე ხოცავენ და მოკლულს ეზოდან აგდებენ. ასეთი საძაგლობა ყოვლად დაუშვებელია წითელი ჯარის რიგებში. ასეთი საქციელი ჩირქს სცხებს მთელ წითელ ჯარს. ასეთი მოპყრობა გლეხის თუ სხვა მშრომელის ნაშრომისადმი კი არ ამაგრებს წითელი ჯარის კავშირს მშრომელ ხალხთან, არამედ ასუსტებს მას და ხელს უწყობს უკმაყოფილების ჩამოგდებას.

აბა გავსაჯოთ.

როგორი თვალით შეხედავს მშრომელი წითელ არმიელს, როცა წითელ ყაზარმის ეზოში შემთხვევით შესულ მის საქონელს წითელარმიელები კლავენ. რასაკვირველია, ის კარგი თვალით არ დაუწყებს ცქერას წითელ ჯარს.

ამიტომაც საჭიროა ყოველგვარ ასეთ უმსგავსო მოქმედებებს ჩვენს რიგებში გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. წითელ ყაზარმის ეზოში შემოსულ გლეხის საქონელს მოკვლა კი არ უნდა, არამედ გადაყენა და პატრონს გაფრთხილება. მაშინ პატრონიც მადლიერი იქნება და წითელი ჯარის ავტორიტეტი ერთი ორად გაიზრდება მის თვალში.

თითეული წითელი მებრძოლი მოვალეა ისეთივე მზრუნველობით და პატივით მოეპყრას ყველა მშრომელის ქონებას, როგორც თავისას. მხოლოდ ასეთი მიდგომით, ასეთი გზით ის გაამაგრებს წითელი ჯარის კავშირს მუშებთან და გლეხებთან.

## ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტების ახალი პროვოკაცია.

ცნობილია თუ როგორ გააფრთებულ კამპანიას აწარმოებენ ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ვერ ინელებენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ქვეყანა მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური პროლეტარიატის დასაყრდენობი ადგილია, რომ ის აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების საუკეთესო მეგობარი და მოკავშირეა.

კაპიტალისტებს ჩვენ ვსძულვართ იმიტომ, რომ მათ მიერ დამონავებულ ერებს მოუწოდებთ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლისაკენ და იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან განთავისუფლებისაკენ.

სწორედ ამიტომ არის, რომ იმპერიალისტური ინგლისი კბილებს კრეჯს სიბრაზისაგან და ყოველგვარ ზომას მიმართავს შექმნას ჩვენს წინააღმდეგ მთლიანი იმპერიალისტური ფრონტი. მაგრამ როგორც სჩანს ის მარტო ამით არ კმაყოფილდება. უფრო შორს მიდის. მას სურს გადაგვკიდოს თვით აღმოსავლეთის სახელმწიფოები, როგორც მაგალითად ოსმალეთი. ჩამოაგდოს ამ სახელმწიფოსა და ჩვენს შორის უნდობლობა და მტრობა.

დღევანდელი რადიო გვატყობინებს, რომ ინგლისისა და ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთები ავრცელებენ ხმებს თითქოს საბჭოთა მთავრობას ხელშეკრულება დაედოს იტალიასთან და რომ ეს ხელშეკრულება მიმართული იყოს ოსმალეთის წინააღმდეგ.

ცხადია არავითარი ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობას იტალიასთან არ დაუდვია და არც აპირებს.

ეს მხოლოდ ინგლისის და ამერიკის მორიგი პროვოკაციაა, რომლის საშუალებით ისინი სცდილობენ დაარღვიონ კეთილმეზობლური განწყობილება ჩვენსა და ახალგაზრდა ოსმალეთის რესპუბლიკის შორის.

არასდროს საბჭოთა კავშირს არავითარი საიდუმლო ხელშეკრულება არ დაუდვია ვინმეს საწინააღმდეგოთ. არავინ არ იცავს ზავს და მშვიდობიანობას ისე, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. იტალიასთან და სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ჩვენ გვაქვს მხოლოდ ეკონომიური და სავაჭრო ხასიათის დამოკიდებულება და სხვა არაფერი.

ამიტომაც ზედმეტია ლაპარაკი ყოველგვარ პოლიტიკურ ხელშეკრულების დადების შესახებ და ისიც ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა მხარს მის ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ.

პირიქით ისაც უნდა უფრთხოდეს ოსმალეთი ეს ინგლისის ბურჟუაზიის ხრიკებს, მის გესლიან პოლიტიკას და პროვოკაციულ გამოსვლებს. ვინ იყო რომ საბერძნეთის ჯარები მიუსია ოსმალეთს თუ არა ინგლისი. ვინ იყო, რომ კონტრრევოლიუციონური ქურთების აჯანყება მოუწყო ოსმალეთს თუ არა ინგლისი. ვინ არის რომ დღეს ოსმალეთის რეაქციას მხარს უჭერს და ოსმალეთის ხელისუფლებას ედავება მოსულში, თუ არა ინგლისი.

ცხადია ეს ყველაფერი კარგად იცის ოსმალეთმაც და ჩვენც სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მისი მთავრობა არ წამოეგება თავისი დაუძინებელი მტრების ანკესზე.

და რამდენიც არ უნდა ეცადოს ინგლისის და ამერიკის რეაქციონურ ბურჟუაზიამ გადაგვკიდოს ოსმალეთი გინდ სხვა რომელიმე აღმოსავლეთის სახელმწიფო ისინი ვერრას გახდებიან.

ყოველგვარ მათ პროვოკაციას აღმოსავლეთის ერები ზიზღით შეხვდებიან და ჩვენთან კავშირის მეტი განმტკიცებით უპასუხებენ.

საბჭოთა კავშირი მუდამ და ყოველთვის ყველა დაჩაგრული ერების მეგობარი და გულშემატკივარი იყო, არის და იქნება.

—ი.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლის-ამერიკის ბნელი განზრახვები.

### სცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ საბჭოთა კავშირსა და მის მეზობლებს შორის.

ინგლისი და ამერიკა ავრცელებენ ხმებს თითქოს საბჭოთა კავშირსა და იტალიას დაედოთ ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულება.

ოსმალეთის მთავრობის გაზეთი ამის შესახებ სწერს: „თუ ეს მართალია, ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ჩაიშლება მეგობრული ურთიერთობა. ამიტომ ოსმალეთს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც რუსეთის, ისე იტალიისაგან ამ ხმების უარყოფა“.

## ეშინიათ „ბოლშევიკური სენის“

შვეციის კონსერვატიულმა გაზ. „ავტონ ბლადეტმა“ მიმართა ხელისუფლებას ახსნა—განმარტებისთვის იმის გამო, რომ მთავრობამ ნება მისცა შვეციის კრეისერს „ფილგიას“ შევლო ოდესაში, სადაც გაზეთის აზრით „ფილგიის“ შემადგენლობა მოექცა ბოლშევიკების გამხრწნელ გავლენას. გაზეთს აუხსნეს, რომ ეს იყო გათვალისწინებული წინასწარ გამომუშავებულ გეგმაში ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით და სამხედრო სამინისტროს დასტურით.

## მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის დაბრუნება გერმანიაში

ბერლინში, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ გერმანიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციას შეეგება ახალგაზრდობა დროშებით, პლაკატებით და მუსიკით; დელეგაციას შეხვდა აგრეთვე წითელ ფრონტელთა კავშირის, წითელ ახალგაზრდობისა და ქალთა წითელი კავშირი წარმომადგენლები. დელეგაციას მისალმების სიტყვით მიმართა წითელ ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარემ ტელმანმა.

## განიარაღების კონფერენციის გარშემო.

ინგლისურ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი სწერს:

„ერთალოგას არავითარი საფუძველი არ აქვს დაემორჩილოს მოსკოვის მითითებებს განიარაღების კონფერენციის მოწვევის საქმეში“.

მაგრამ ეს გარემოება, გაზეთის აზრით, გაადვილდება ამერიკის მონაწილეობით შესაძლებლობით კონფერენციაზე ვინაიდან ამერიკის სენატორ ბორას აზრით, ვაშინგტონი საუკეთესო ადგილია კონფერენციის მოწვევისთვის.

# საბჭოთა კავშირში.

## ჩეხო-სლოვაკიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ნიჟნი ნოვგოროდში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც ექვსი კაცისაგან შესდგება. დელეგაციაში შედის 3 სოციალდემოკრატი და 3 კომკავშირელი. დელეგაციის მოსვლის მიზანია საბჭოთა ახალგაზრდობის მდგომარეობის გაცნობა.

## სევასტოპოლის ქალაქის საბჭოს საპატიო წევრები.

სევასტოპოლის ქალაქის საბჭოს ხელახალი არჩევნების დროს 1905 წ. ფლოტის აჯანყების ხელმძღვანელი ლეიტენანტი შმიდტი და მასთან ერთად დახვრეტილი კრეისერ ოჩაკოვის მეზღვაურები არჩეულ იქნენ ქალაქის საბჭოს შეუცვლელ საპატიო წევრებად.

## უცხო სიტყვების ახსნა

ლაბორატორია—დაწესებულება მეცნიერულ მუშაობისთვის.

ორგანიზაცია—ჩამოყალიბება, მოწყობა, კავშირი.

კამპანია—რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობის ჩატარება; დრო ომის, არჩევნების და სხვა.

კონსერვატორი—ძველი, დახავსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დამცველი.

ორშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათისთვის წითელ თეატრში (ზუბალაშვილის სახელობის ყოფილ სახალხო სახლში) მოწვეულია ტფილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ.

სხდომაზე დასწრება სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის იმ წევრებისა და კანდიდატებისათვის, რომელნიც ტფ. საბჭოს წევრები ან კანდიდატები არიან.

მასალის მიღება მოხსენების გამო შეიძლება წინასწარ პრეზიდიუმის მდივანთან ამხ. ცქიტიშვილთან (აღმასკომი, ოთახი № 5).

ფრაქციის ბიურო.

# კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XIV ყრილობა

## ამხ. სტალინის მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ.

### პარტიის საშინაო პოლიტიკა.

— ჩვენ ვმუშაობთ და ვაშენებთ. კაპიტალი გარს გვერტყმის და სცდილობს ჩვენი მშენებლობის შევიწროებას—ამბობს ამხ. სტალინი. ჩვენ უნდა გავხდეთ დამოუკიდებელ სამეურნეო სიმაგრედ, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შინაურ ბაზარს, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის კავშირს.

**ჩვენ გვინდა სამრეწველო სახელმწიფო.**

არაა სწორი ის გეგმა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა დარჩეს სამეურნეო ქვეყნად და გაჰქონდეს პური საზღვარ გარედ და იქედან შემოჰქონდეს მანქანები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ დამოკიდებული ვიქნებით კაპიტალზე.

საჭიროა ჩვენი ქვეყანა იყოს მეურნეობის მხრივ დამოუკიდებელი, სამრეწველო, რათა მან მიიზიდოს ის ქვეყნები, რომლებიც თანდათან ჩამოშორდებიან კაპიტალიზმს.

**სოციალიზმის გზაზე**

ჩვენი მეურნეობა მეტად ჭრელია: ჩვენ გვაქვს მეურნეობანი, რომლებიც არაფერს არ ყიდულობენ; ჩვენ გვაქვს სოციალისტური წამოწყებები—ესენია სახელმწიფოებრივი. ზოგიერთი ამხანაგები ამ წამოწყებებს უწოდებენ სახელმწიფოებრივ—კაპიტალისტურს. ეს არაა სწორი. სახელმწიფოებრივი კაპიტალისტური წამოწყებები შეიძლება იქ, სადაცაა ექსპლოატატორი ბურჟუაზია. ჩვენს წამოწყებებში კი ერთი კლასია—მუშათა კლასი.

**მეურნეობის მდგომარეობა**

სასოფლო მეურნეობის შემოსავალი 1924—25 წელში ავიდა 71 პროც. 1913 წელთან შედარებით, ე. ი. 9 მილიარდ მანეთამდე. შემდეგ წელში ეს შემოსავალი უნდა ავიდეს 11 მილიარდამდი.

მრეწველობამ იმავე წელში მოგვცა 5 მილიარდ მანეთის საქონელი ე. ი. ომამდე არსებულის 81 პროც. მომავალ წელში, ვფიქრობთ, რომ მრეწველობის საქონელი ავა 6 ნახევარ მილიარდ მანეთამდი.

**კერძო კაპიტალს თანდათან ვასუსტებთ**

სახელმწიფოებრივი და საკოოპერაციო კაპიტალი ჩვენში კერძო კაპიტალზე უფრო იზრდება. 1924—25 წ. სახელმწ. და საკოოპერაციო მრეწველობამ მოგვცა მთელი საქონლების 80 პროცენტი, ხოლო კერძომ 20 პროც. ხოლო მანამდი კი კერძო მრეწველობის წილი უდრიდა თითქმის 27 პროც.

ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური ჩვენს საწარმოებს, სწორად უნდა აღვრიცხოთ ჩვენ ხელთ არსებული საშუალებები აღმშენებლობის შემდეგი განვითარებისთვის.

წინა წლებში ჩვენი ვაჭრობა უცხოელ სახელმწიფოებთან იზრდებოდა. ჩვენ მეტს ვყიდდით, ვინემ ვყიდულობდით. მაგრამ ამ წელში ჩვენ დავუშვით დიდი შეცდომა, ვიყიდეთ საზღვარგარედ 114 მილიონ მანეთზე მეტი, ვინემ ჩვენ გავყიდეთ. ჩვენი ოქრო გავიდა საზღვარგარედ, რასაც შეუძლია ზიანი მოუტანოს ჩერვონეცს. დღეს გადაწყვეტილია, მომავალ წელში რაც არ უნდა იქნას, გატანილ იქნას 100 მილიონი მანეთით მეტი, ვინემ შემოტანილი.

**როგორ განვითარდება ჩვენი მეურნეობა მომავალში**

მრეწველობაში საჭიროა მოწყობილობის განახლება. ეს არ შეიძლება ჩქარა მოხდეს საჭირო სახსრის სიმცირის გამო. ამიტომ მრეწველობა მომავალში უფრო ნელა წავა წინ, ვინემ დღემდის.

სასოფლო მეურნეობა მრეწველობასთან შედარებით ჩქარი ნაბიჯით წავა, ვინაიდან იქ არაა საჭირო ახალი ტეხნიკის შემოსაღებად დიდი სახსარი.

რომ სოფელს არ ჩამოვრჩეთ, საჭიროა როგორც მსხვილი, ისე ადგილობრივ მრეწველობათა განვითარება.

ვაჭრობის დარგში სახელმწიფო და კოოპერაცია მეტ მონაწილეობას ღებულობს, ვინემ კერძო კაპიტალი.

ჩვენ შეცდომა დავუშვით სოფლად პურის ყიდვის დროს. გლეხს უჭირავს პურის მარაგი და ფიქრობს, რომ გაზაფხულზე ფასები აიწევს. ამიტომ ჩვენ ჩამოვაკელით პურის რაოდენობა, რომელიც დანიშნული იყო საზღვარგარედ გასატანად.

**მასების აქტიურობის ზრდა.**

სახალხო მეურნეობის განვითარებამ გააძლიერა პროლეტარიატი. ჩვენ ამჟამად 7 მილიონზე მეტი მუშა გვყავს, ამ რიცხვში 715.000 უმუშევარი. გასულ წელში გვყავდა 5 ნახევარი მილიონი მუშა, მათ რიცხვში 760.000 უმუშევარი.

სამუშაო ხელფასი ავიდა ომამდე არსებულის 95 პროცენტამდი. შრომის ნაყოფიერებაც იზრდება სამუშაო ხელფასთან ერთად. უმჯობესდება სოფლის მდგომარეობაც. დღეს გლეხი იკვებება უკეთესად და მეტ მარაგსაც იტოვებს თავისთვის.

**ჩვენი მოკავშირე ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხებია.**

სახელმწიფო და პარტია ეხმარება ღარიბ მოსახლეობას.

მეურნეობის ზრდამ გამოიწვია გლეხობაში აქტიურობა.

მშვიდობიან აღმშენებლობაზე გადასვლის შემდეგ ლენინმა მოგვცა ლოზუნგი მტკიცე კავშირისა პროლეტარიატსა და ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის შორის. ეს ლოზუნგი უნდა ავასრულოთ ჩვენ.

პარტიაში იყო ლაპარაკი. ერთი ამბობდა არ ღირს ყურადღება მიაქციო ბობოლას სოფლად, რომ ის საშიში არაა. სხვები, პირიქით მოუწოდებდა ბობოლების წინააღმდეგ. პარტია იბრძვის ამ ორი უკიდურესების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავასუსტოდ ბობოლა ღარიბებზე დახმარებით და მათი შემოკრებით საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხ. ორგანიზაციების გარშემო.

**მეურნეობის ამოცანები.**

ჩვენი ქვეყანა უნდა გადავაქციოთ სასოფლო მეურნეობის ქვეყნიდან სამრეწველო ქვეყნად ისე, რომ უფრო ძლიერ იზრდებოდეს მეურნეობის სოციალისტური ნაწილი. მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში უნდა გავაძლიეროთ ტეხნიკა. გლეხთა ცალკეული მეურნეობანი უნდა ჩავაბათ სოციალისტურ აღმშენებლობაში კოოპერაციის საშუალებით. უნდა გავაძლიეროთ სავაჭრო აპარატი. უნდა დავაგროვოთ საშუალებათა მარაგი, რათა ადვილად გადაუნაცვლოთ მათ მეურნეობის ერთ დარგიდან მეორეში.

**მეტი რწმენა ჩვენს საქმეში.**

ამხ. სტალინი ეხება ახალი ბურჟუაზიის განწყობილებას მათ სურვილებს, უპირისპირებს მას პროლეტარიატის თანდათანობით გაძლიერებას და დასასრულს ამბობს:

— მეტი რწმენა ჩვენს აღმშენებლობაში. როცა დასავლეთის მუშები გაიმსჭვალებიან ამ რწმენით თავიანთ ძალაში—ეს იქნება კაპიტალიზმის დასასრულის დასაწყისი.

(შემდეგი იქნება)

# სამხედრო საქმე.

## ტანკები და მათი დანიშნულება ბრძოლაში

ტანკა ეს იგივე ჯავშნოსანია, მაგრამ თავისი აგებულობით, სიდიდით, დაცვის საიმედობით და სხვა ბევრი თვისებით განსხვავდება ჯავშნიანი ავტომობილისაგან. თავიდათავი ისაა, რომ მას შეუძლია უგზოდ, დახნულ მინდორზე, თხრილზე, სანგარზე ბუჩქებში, მოძრაობა და მდინარის გატოპვაც, თუ რომ მას ფონი აქვს (არა უღრმეს 2 არშინისა). მაგრამ ჭაობში ტანკას არ შეუძლია მოძრაობა, ვინაიდან ის ჩაიფლობა შიგ, როგორც ავტომობილი ტალახში ცუდ გზაზე.

ტანკას ბორბლების მაგივრად აქვს ჯაჭვისებური სალტე გარშემორტყმული. ესაა ლითონის ფირფიტები, ერთმანეთზე მიმაგრებული. ისინი ბრუნავენ და მოძრაობაში მოჰყავთ ტანკა. ჯავშნიან ავტომობილებთან შედარებით ტანკის მოძრაობა ნელია. ის მოქმედებს მცირე მანძილზე, ვინაიდან სჭირდება ბევრი საწვავი მასალა (ბენზინი, ზეთი).

ტანკას დამოუკიდებელი მოძრაობა არ შეუძლია. ის ჩვეულებრივად ხელს უწყობს ქვეითი ჯარის წინსვლას. ამ მიზნით ისინი მიდიან წინ და წმენდენ გზას. მაგალითად, რომ გაუწმინდოს ქვეითა ჯარს გზა, ტანკა მოძრაობს ხელოვნურ დაბრკოლებებისა და მტრის სანგრების მიმართულებით, ანადგურებს ყოველ ცოცხალსა და მკვდარს თავის გზაზე. მას მიჰყვება ქვეითი ჯარი, იკავებს მტრის სანგრებს და ამაგრებს დაკავებულ ადგილს.

ტანკა მოძრავი სიმაგრეა, რომელთან ბრძოლა საკმაოდ ძნელია. მაგრამ არტილერია მეტად საშიშია ტანკისთვის, განსაკუთრებით ახლოს მანძილზე. ერთის დაკვრით არტილერიას შეუძლია ტანკის შემუსვრა. ხშირად მარჯვედ გასროლილ გრანატასაც შეუძლია ტანკის გაჩერება.

ბოლოს თოფისა და ტყვიამფრქვევიდან ტანკის ჭუჭრუტანებში მარჯვედ სროლით შეუძლია შემუსროს მისი დამცველები და ამით გააუქმოს ტანკის მოქმედება.

ამრიგად, თუ მეომარს ეცოდინება ბრძოლა ტანკების წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში ისინი საშიში აღარ იქნებიან.

პ.

---

მეგობარო, რას უცდი,
შენზე არის ჯერია,
რატომ დღემდის გაზეთი
არ გამოგიწერია!?

---

# შეისწავლე გრანატა.

წარსულ მსოფლიო ომმა ბევრი გამოაჩინა ბრძოლის ისეთი საშუალება, რომლებსაც მანამდი არ ჰქონია დიდი მნიშვნელობა. სამოქალაქო ომმა ჩვენში გამოიყენა ბრძოლის ბევრი ახალი იარაღი და ერთხელ კიდევ ცხადი გახდა მათი ვარგისიანობა ომში.

მომავალი ომები თანამედროვე პირობებში, შეიარაღების მხრივ უფრო რთული იქნება, ვინემ დღემდის.

ქვეითი ჯარის ბრძოლის მთელი შინაარსი მდგომარეობს ცეცხლის საშუალებათა და ცოცხალი ძალის სწორად გამოყენებაში.

ცეცხლის საშუალებანი (ლეგიონის ქვემეხები), დაზგის ტყვიამფრქვევები, ხელის ტყვიამფრქვევები, თვითმომქმედი და შაშხანები) აწარმოებენ ბრძოლას მტრის ისეთივე ცეცხლის საშუალებათა წინააღმდეგ და ანადგურებენ მის ცოცხალ ძალას. ხოლო მტრის ცოცხალი ძალის განადგურება, ცხადია, ხელს უწყობს ქვეითი ჯარის მსროლელთა წინ წაწევასა და დაგროვებას იმ ადგილზე, სადაც მტერი ნაკლებ მოელის.

მტერთან დაახლოების დროს, როცა იარაღის ყველა სახე აწარმოებს გაძლიერებულ ცეცხლს, ამ დროს მტრის რიგებში სულიერ განწყობილების შესასუსტებლად მოპირდაპირე მიმართავს ხელით და თოფით სატყორცნ გრანატებს. გრანატები მეტად საიმედო საშუალებაა და წარმოადგენს დამატებას ყველა გვარის იარაღზე.

როცა ტყვიამფრქვევის, თვითმომქმედის და შაშხანის მოქმედება შენელდება მოპირდაპირეებს შორის, ამ დროს ხელით სატყორცნი გრანატა შეუდარებელი იარაღია. ის მერავს მტერს იერიშის წინ, იერიშის დროს (ხელჩართულ შეხლის დროს) და სანგრებში, სადაც კიდევ არიან გამაგრებული მოპირდაპირის მსროლელები.

ამიტომ ზამთრის პერიოდის პროგრამაში არის ხელით სატყორცნი გრანატების შესწავლის განყოფილება. საჭიროა, რათა ამ განყოფილებას სერიოზული ყურადღება მიექცეს და ზამთრის განმავლობაში შესწავლილ იქნას გრანატების მატერიალური ნაწილი იმ ანგარიშით, რომ ზაფხულზე შეძლონ მათი ტყორცნა და მოქმედების გაცნობა.

ჩვენი არმიის შეიარაღებაში გვაქვს სულ გრანატების სამი გვარი: რუსული გრანატა 1914 წლ., მილსისა და ნოვიცკის. ამიტომ მათი შესწავლა არც ისე ძნელი იქნება.

ი. ბ.

# პირველი დემონსტრაცია.

## პირადი მოგონებიდან

(გაგრძელება)

1903 წელში კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწყო დემონსტრაცია იმ დროს, როდესაც მთავრობა ახდენდა ახალგაზრდების გაწვევას ჯარში. ეს ოქტომბრის მეორე ნახევარი იყო. ამ დროიდან სამხედრო სამაზრო სამმართველოში თავს იყრიდენ ქუთაისის მაზრის ყველა რაიონებიდან ჯარში მისაღები ახალგაზრდები. ჩვენ დავალებული გვქონდა ჩავრეულიყავით ამ ახალგაზრდობაში და გაგვეწია აგიტაცია თვითმყრობელობის, მუდმივი ჯარის, მემამულეების და სხვათა წინააღმდეგ და ამავე დროს ვგებულობდით თუ რამდენად დაგვეთანხმებოდენ ახალგაზრდები დემონსტრაციაში მონაწილეობაზე დაახლოვებით ერთი კვირის განმავლობაში ისე მოეწყო საქმე, რომ უფრო საიმედო ახალგაზრდობა დაგვეთანხმა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებაზე. კომიტეტმა დემონსტრაციის დრო დანიშნა. ყველა მონაწილე წინასწარ გაფრთხილებული ვიქენით დემონსტრაციის მომწყობ ამხ. ბარონის მიერ, რომ არც ერთს კაცს იარაღი არ უნდა ქონოდა. მხოლოდ ნება მოგვცა გაჭირვების დროს გვეხმარა ქვა და ჯოხი. დანიშნულ დროს ყველა სამობილიზაციო პუნქტზე ვართ ბალახვანის ქუჩაზე, შეიარაღებული ქვებით, ჯოხებით და პროკლამაციებით. ამხ. კ. ჯანელიძეს წითელი დროშა უბეში აქვს ჩადებული. ნაწილი ამხანაგების შიდ სამართველოში არის, სადაც სინჯავენ მისაღებ ახალგაზრდებს, ნაწილი იქვე ბალკონში და ეზოში არიან არეული ხალხში, ნაწილი კი გარეთ ვართ. მოაწია დანიშნულმა დრომ, შეიქნა ერთი აურზაური, ყვირილი: „ძირს თვითმყრობლობა“. გაიფანტა ქუდებიდან ჰაერში აყრილი ფერადი პროკლამაციები, გაიშალა წითელი დროშა და აჩქარებული ფეხის ნაბიჯით გავსწიეთ ბაღისაკენ. იქვე მახლობლად იდგენ გოროდოვოები. ისინი უცებ დაიბნენ და ვერ მიხვდენ თუ რა ხდებოდა. ერთმა მათგანმა დააპირა ლეკურის ამოღება, მაგრამ მაგარი ბზის ჯოხი მოხვდა თავში და გულწასული დაეცა მიწაზე.

მეორემაც დააპირა რაღაცა, მაგრამ მასაც ქვა მოხვდა თავში და ის ბედი ეწვია როგორც პირველს. სამმართველოში მყოფი დიდი და პატარა მოხელეები მაგიდებს ქვეშ ძვრებოდენ, ეზოში მყოფი სტრაჟნიკები დაიბნენ და მიიმალენ ოთახებში, ერთი სიტყვით ყველა იქ მყოფი მოხელეები გამოერკვიენ იმ დროს, როდესაც დემონსტრაცია მარსელიოზის სიმღერით მიემართებოდა ბაღისაკენ. ჩვენი ახალგაზრდა სოფლელები დემონსტრაციას არ შეუერთდენ და ბაღისკენ წასვლის მაგივრად ქვევით დაეშვენ ბალახვანის ქუჩაზედ. ასე რომ დემონსტრაციას შერჩა მხოლოთ ქუთაისის ორგანიზაცია. ყოფილი ბალახვანის ქუჩის და პუშკინის ქუჩის გზა ჯვარედინზედ შემოგვხვდა აპანოდან მომავალი კაზაკთა ასეული, მაგრამ მათ ხელი არ შეუშლიათ ჩვენთვის, არ ვიცი რა მიზეზით, მართალია თოფები არ ქონდათ, მაგრამ სამაგიეროთ რევოლვერი და ხანჯალი ზედ ეკიდათ. ჩვენ გავედით ბაღთან იქ დაგვედევნა ოკოლოდოჩნიკები საყვარელიძე და ფხაკაძე თავიანთი გოროდოვოებით.

დემონსტრანტები გარბოდენ სხვა და სხვა ქუჩებით. ერთმა გარემოებამ შეგვიწყო ხელი—ეს იყო ქუჩების და თხრილების შეკეთება. ჩვენ ახალგაზრდები უფრო გაბედულათ ვხტებოდით, ისინი კი ხშირათ ცვიოდენ თხრილებში. პოლიციას იარაღი არ უხმარია ჩვენზედ, მაგრამ მაინც შესძლეს იმ დღით და საღამოს 15—20 კაცამდის დაჭერა, რომლებიც სამი თვის შემდეგ იქნენ ციხიდან განთავისუფლებული.

ს. ლომიძე.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### მეთაურთა სკოლა.

10 დეკემბერს შესდგა ჩვენი სკოლის 1-ლი უჯრედის ღია კრება, რომლის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობის შედეგები და 2. ლენინის კუთხის გამგეობის მოხსენება.

საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. საპანაძე, რომელმაც მთლიანად გააშუქა საქართ. კომპარტიის მე-4 ყრილობის საქმიანობა. მომხსენებელი შეეხო გასული წლის მენშევიკების ავანტიურას, აფხაზეთის და აჭარისტანის მდგომარეობას და იქ მუშაობის ხაზს, ხაზი გაუსვა საქართველოს სამეურნეო აღორძინებას, ეხება აგრეთვე საბჭოს არჩევნებს და ხაზი გაუსვა აგრეთვე საკონტროლო კომისიის მუშაობას. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ლენინის კუთხის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ლენ-კუთხის გამგე ამხ. ფარეიშვილი, რომელიც აღნიშნავს დღემდე გატარებულ მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს.

კუთხის მუშაობაში, ამბობს მომხსენებელი, დიდი აქტივობა გამოიჩინეს კურსანტებმა. ისინი გვეხმარებოდენ ჩვენ მატერიალურადაც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი შეიქნა კუთხის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამ ჟამად ლენ. კუთხეში არის მოწყობილი სხვა და სხვა კუთხეები, თითეულ კუთხეს ყავს აქტიური ხელმძღვანელი.

ლენინის კუთხეში კვირაში ერთჯერ ეწყობა საუბრები სხვა და სხვა თემაზე. აქვე იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი რომელიმე საკითხის შესახებ და სხვა.

კრებაზე დამსწრე ამა—ბმა მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

პარტკორი გ. პარკოსაძე.

### მე-6-ე ლეგ. მე-2-ე ათ. კაჭარეთის წერტი.

ჩვენს წერტზე მეცადინეობის დაწყებისთანავე შევუდექით ახ-კომკავშირელთა აღრიცხვას. ამის შემდეგ 11 დეკემბერს მოწვეულ იქნა საერთო კრება, რომელზედაც დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1. ა. ლ. კ. კ. კოლექტივი და მისი ამოცანები, 2. ლენკუთხე და მისი მნიშვნელობა.

პირველი საკითხის შესახებ მომხსენებელმა ვრცლად დაასურათა კომკავშირის კოლექტივის მუშაობის ამოცანები. მოხსენების შემდეგ კრებამ ახ-კომკავშირის კოლექტივის მდივნად აირჩია ამხ. ალ. თევდორაშვილი.

ამავე კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება წერტზე ლენ-კუთხის მოწყობისა და მისი მუშაობის შესახებ. კრებამ აუცილებლად სცნო წერტზე ლენინის კუთხის დაარსება, რისთვისაც არჩეულ იქნა კუთხის მომწყობი კომისია. კომისიაში კრებამ აირჩია ერთ-ერთ წევრად ადგ. ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი.

ჩვენი წერტის წევამდელთა შორის პარტწევრები და კანდიდატები არ არიან.

ქ.—ლი.

### ახკომკავშირელები წითელ ჯარში

ქართ. ცხენ. ლეგიონი.

ამ ჟამად ცხენ. ლეგ. ახ. კ. კავშირში სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველგვარი მეცადინეობა. ჩვენთან კრებები იწვევა უფრო ხშირად ღია, რომ ამით უპარტიო წითელ ჯარმიელებიც დაინტერესდენ ჩვენი მუშაობით, რომ ისინიც ჩაებან ჩვენთან მუშაობაში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საკითხების გარჩევაში. ჩვენთან არ ყოფილა ჯერ ისეთი შემთხვევა, რომ წესრიგი დაერღვიოს კომ-კავშირელს, თვითეულ კომ-კავშირელმა იცის თუ რა მოვალეობა აწევს მას, თუ როგორ უნდა იმუშაოს მან კავშირში, როგორ უნდა დაიცვას მან ყოველივე წესი, დისციპლინა და სხ.

აი ამაზე გვაქვს ლაპარაკი ყველა კრებებზე ჩვენს ნაწილში.

სამხკორი. პ. ნადარეიშვილი

### ახალწვეულები ჩვენთან.

1-ლი ლეგ. მე-6 ასეული.

ორი თვე იქნება რაც ჩვენი წითელ ყაზარმას ახალწვეულები ეწვია. ისინი მოსვლისთანავე შეუდგენ მეცადინეობას როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურ დარგში. მართალია, პირველ ხანებში მათ ცოტათ ეძნელებოდათ მეცადინეობა სხვა და სხვა მიზეზების გამო მაგრამ ეხლა, როდესაც სავსებით გაიცვნენ წითელი ყაზარმა, ისინი გულმოდგინეთ და ხალისით ეკიდებიან სწავლებას. ისინი ძლიერ დაინტერესებული არიან პოლიტ-მეცადინეობით. გულმოდგინეთ უსმენენ პოლიტხელს, აძლევენ მას მრავალ შეკითხვებს. ამ მხრივ მათ დიდ დახმარებას უწევს ლენ-კუთხე, სადაც ისინი თავისუფალ დროს გაზეთების და წიგნების კითხვაში და მათთვის საინტერესო თემებზე კამათში ატარებენ.

მომავალში ეს ენერგია და ინტერესი სწავლისადმი უფრო გაიზრდება.

წ. არ. ნიკ. ძაველიძე.

## წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

### პირველი ვარჯიში სროლაში.

1-ლი ლეგიონი.

ყაზარმაში მოსვლის დღიდან განუწყვეტლივ ვმეცადინეობდით, ვსწავლობდით და ვეცნობოდით სამხაზიან შაშხანა თოფს, მაგრამ სროლა ამ უკანასკნელ დღემდე არ გვიწარმოებია.

სწორედ ამიტომ ძლიერ გაგვეხარდა, როდესაც ერთ საღამოს ასეულის ყაზარმაში შამოვიდა უფროსი და გვაცნობა, რომ ხვალ სროლა უნდა გვეწარმოებია და თან გაგვაფრთხილა გამოგვეჩინა სიყოჩაღე.

ბევრ ამხანაგებს მთელი ღამე არ სძინებიათ და ოცნებობდენ გამარჯვებაზე.

პირველი გამოცდა იყო ჩვენი, პირველად გვიხდებოდა შაშხანის მიზანში სროლა.

დილით ადრე მოეწყო მთელი ასეული, წავიდეთ ვაზნების სათანადო მარაგი და გაუდექით გზას სასროლ მოედნისაკენ.

გული გვიცახცახებდა სანამ სროლას დავიწყებდით, მაგრამ ყველა განსაკუთრებული მონდომებით ეკიდებოდა საქმეს და მთელ ძალღონეს იკრებდენ, რომ მიზანისათვის არ დაეცილებიათ.

ვარჯიში, რომ მოველოდით, იმაზე უკეთ დათავდა. ყველა გახარებული გამოვეშურეთ ყაზარმებისაკენ და მხიარული ყიჟინით შამოვედით ეზოში, სადაც უფროსმა დიდი მადლობა გამოგვიცხადა ყოჩაღობისათვის.

წ. არმ. ი. ჯინჭარაძე.

### გავაბით კავშირი სოფლებთან.

4-ე ლეგ. 9-ე ასეული.

ჩვენს ასეულს ყველა მახლობელ სოფლებში აქვს გაბმული ქსელი. ყველასთან დახლოვებული ვართ. სოფლებში მოწყობილი გვაქვს სამხედრო კუთხეები და ზოგიერთებზე შეფობაც კი გვაქვს აღებული და შეძლებისდაგვარად უწევთ დახმარებას. სამხედრო კუთხეებშიდაც შესაფერ მუშაობას ვაწარმოებთ.

ასეულშიც გაჩაღებულია შესაფერი მუშაობა. ყველა წრეებში, რომლებიც კი არსებობენ ასეულებში მიმდინარეობს სისტემატიური მეცადინეობა. უფ-პოლიტშემადგენლობა კარგ ხელმძღვანელობას გვიწევს ამ მუშაობაში.

წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო მეცადინეობა კარგა ხანია დაიწყო. შედეგები ეხლავე საყურადღებოა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი თამამად მივაღწევთ ჩვენს მიზანს, ასეულში არ გვეყოლება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელი არმიელი.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

### ახალწვეულები ენერგიულად ამუშავდნენ.

3 მე ლეგიონი.

თითქმის ყაზარმაში მოსვლის დღიდანვე ახალწვეულები ენერგიულად შეუდგენ მუშაობას. ყველაფერმა ძლიერ დააინტერესა ისინი. სამხედრო და პოლიტიკური საქმის შესწავლაზე კი ლაპარაკიც არაა საჭირო. არც ერთი თავისუფალი წუთი ტყვილა არ იკარგება. ლენკუთხეები სავსეა დაინტერესებული ამხანაგებით ყოველთვის და ისმენენ ხმამაღალი კითხვას და საუბრებს სხვადასხვა საინტერესო თემებზე.

მადლობის ღირსია უფშემადგენლობა, რომ ახალწვეულების ასეთ დაინტერესებას ისინი კიდევ უფრო უწყობენ ხელს და გულმოდგინეთ ჰკიდებენ ხელს არმიელების აღზრდის საქმეს.

იმედი გვაქვს ასეთი მუშაობით მალე დავწინაურდებით და გვერდში ამოუდგებით საუკეთესო ნაწილებს.

წ. არმ. ცინ—ძე

### საკავშირო კომისიის კუთხე.

ღია წერილი

ქ. გ. მ. სკოლიდან გამოშვებულ მეთაურებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ გიხდებათ სკოლაში მიღებულ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება წითელ-არმიელთა აღზრდის საქმეში.

ცხადია, რომ თქვენ ამ მხრივ უკვე დაგროვილი გექნებათ საკმაო გამოცდილება. წითელ არმიის ნაწილებში პრაქტიკულ მუშაობის დროს თქვენ აუცილებლად შეამჩნევდით თავის თავს ზოგიერთ საკითხში მოუმზადებლობა.

უთუოდ ზოგიერთ განყოფილებებში პრაქტიკულ მუშაობის დროს თავს იჩენდა თქვენი არა საკმაო ცოდნა მთელ რიგ სამოსწავლო დისციპლინისა, აგრეთვე არა საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება და სხ.

ჩვენი სკოლა საჭიროებს თქვენ მიერ დაგროვილ გამოცდილებათა გამოყენებას კურსანტთა—მომავალ მეთაურთა—აღზრდის საქმეში. ჩვენ გვაინტერესებს თუ რომელ განყოფილებებში და სფეროში, რომელ სამოსწავლო დისციპლინაში მოიკოჭლებთ თქვენ.

ნუ გასწყვეტთ კავშირს თქვენს აღმზრდელ სკოლასთან, მოაწოდეთ მას ცნობები თქვენი პრაქტიკულ მუშაობიდან.

კომუნისტური სალამით შელია.

### რემედასის უჯრედის დაარსება 2-ე ცალკე ცხ. ესკადრონში.

2-ე ცალკე ცხენოსანი ესკადრონი სულ მცირე ხანია, რაც დაარსდა. ჩამოყალიბებისთანავე ესკადრონში დაიწყო მუშაობა წრეებმა. წითელი არმიელები დიდ სურვილს გამოსთქვამდენ დაარსებულიყო ჩვენს ნაწილში რემედასის უჯრედი. ამ მიზნით შესდგა 15 დეკემბერს ჩვენი ნაწილის ყველა წითელ არმიელთა და მეთაურთა გაერთიანებული კრება.

რემედასის მნიშვნელობაზე და მის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა კრებას ამხ. სტურუამ. მან აღნიშნა, თუ რა სიძნელენი და წინააღმდეგობანი ელოდება წინა დასავლეთ ევროპის რევოლიუციონერებს პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. თუ რა ძლიერ გაჭირვებას განიცდიან ისინი და რა უმწეო მდგომარეობაში ვარდება მათი ოჯახები მათი დატუსაღების შემდეგ. ამხ. სტურუამ აღნიშნა აგრეთვე, თუ რა მიზნებს ისახავს რემედასი საერთოდ და კერძოდ რა მოვალეობა აწევს რემედასის თვითეულ წევრს.

მოხსენების შემდეგ კრება ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას, რომლით ისინი ესალმებიან რემედასის უჯრედის დაარსებას ჩვენს ნაწილში და სიტყვას იძლევიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ დასავლეთის ჩვენს ძმებს მათ დიად ბრძოლაში.

ამავე სხდომაზე კრება ირჩევს აგრეთვე უჯრედის ბიუროს და რემედასის ყრილობაზე ერთ დელეგატს, რომელმაც დაბრუნებისას ანგარიში უნდა გაუკეთოს კრებას ყრილობის მუშაობის შესახებ.

სამხკორი ცხომელიძე.

### მოაწყვეთ გასამართლებები.

ცხენ. ლეგიონის ლიტწრის საყურადღებოთ.

ლიტერატურული გასამართლებების ხშირ ხშირად მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს წითელ არმიელებისათვის. მიუხედავად ამისა ლეგიონის ლიტერატურული წრე სრულიად არ ცდილობს ამ მიმართულებით მუშაობას. წითელ არმიელები კი ძლიერ დაინტერესებული არიან კულტურული მუშაობით. საჭიროა მეტი ინციატივის გამოჩენა და მეტი მოქმედება. წითელარმიელების სურვილს გზის მაჩვენებელი და ხელმძღვანელები ესაჭიროება, რაც უნდა იკისროს ჩვენმა ლიტერატურულმა წრემ და მისმა ხელმძღვანელემა. იზრუნეთ, მოაგვარეთ ეს საქმე.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

### ერთი კვირა ქარ. მეთაურთა სკოლაში.

ახალი წლის მოახლოებას კურსანტები დიდი ნერვიულობით მოელიან. საყურადღებოა გამოცდები და შვებულება—სოფლისკენ გამგზავრება, რომლისთვისაც დიდი სამზადისი სწარმოებს.

სკოლაში 16 დეკემბერს დაიწყო გამოცდები, გაგრძელდა ოთხ დღეს. კურსანტებს წინასწარ სამზადისისათვის ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ.

გამოცდები კონსპექტების სისტემამ და ჯგუფურმა მეცადინეობამ მეტად გაადვილა. უკანასკნელი დღე დათმობილი ჰქონდა პოლიტ-გამოცდებს, რომელიც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

გამოცდების გათავებისთანავე კურსანტებმა მიაშურეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, კლუბს, მაღაზიებს.

— აბა, შემირჩიე რამოდენიმე წიგნი სოფელში სამუშაოდ! ეუბნება ბიბ-გამგეს კურსანტი.

— თუ ძმა ხარ, ჩექმები კარგად გადამიკეთე, სოფელში მივდივარ ხომ იცი ერთი წელია არა ვყოფილვარ.—ეუბნება მეორე კურსანტი ნაცნობ მეჩექმეს.

— ამხანაგო, კლუბის უფროსო! პიესები და სხვა რამე გამოსადეგი მასალები გექნებათ—სოფელში მუშაობის ჩასატარებლად.—ამბობს მესამე. და ამ რიგად კურსანტები დიდ საქმეში არიან—საშვებულებოდ ემზადებიან!

შაბათს, 19 დეკემბერს—საღამოს 18 საათზე შესდგა სკოლის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ფართოდ იქმნა გაშუქებული შვებულებაში მიმავალ კურსანტების ამოცანები... მოსმენილი იქმნა ამხ. რამიშვილის მოხსენება: თუ „როგორ უნდა ვიმუშაოთ სოფლად.“

კვირას, 20 დეკემბერს დილითვე კლუბი და წრეები დიდ სამზადისში იყვნენ.

დილით გაიმართა კომ-კავშირის კრება, რომელზედაც მოსმენილი იქმნა მოხსენება კავშირის მიღწევებზე და დისციპლინაზე. მოხსენებებში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ახალ ყოფას, ყოფა-ცხოვრების დღევანდელ საკითხებს.

ამავე დღეს—შუა დღისას ჩატარდა ლენკუთხეების მუშაობა.

თემა: „1905 წლის მოგონებები“, „1905 წლის რევოლუციის“. კუთხის მნიშვნელობა და სხვა. 20 დეკემბერსვე, საღამოს კლუბში გაიმართა 1905 წ. რევ. 20 წლის თავის საიუბილეო საღამო.

21 დეკემბერს შვებულებაში მიმავალ კურსანტებს მისცეს ლიტერები და შესაფერი რჩევა-დარიგებები.

22 დეკემბერს—მუშავდება სკოლაში დარჩენილ კურსანტთა შორის მუშაობის გეგმა და იწყება ახალი (1926) წლის შეხვედრის სამზადისი...

კლუბის გარშემო შემოკრებილი არიან წითელ არმიელებიც. მუშაობა კვლავ გაჩაღდა.

სამხკორი სოსო ვანანი.

# სამხკორის კუთხე

## როგორ უნდა იწერებოდეს კორესპონდენციები.

უკანასკნელ ხანებში რედაქცია სამხკორებისაგან ღებულობს საკმაო კორესპონდენციებს, მაგრამ მრავალი ამათგანი არ იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

რატომ არ იბეჭდება? არ იბეჭდება იმიტომ, რომ ზოგიერთი სამხკორი სწერს არა იმაზე, რაზედაც საჭიროა და სწერს არა ისე, როგორც საჭიროა. წერის დროს აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო საქმეს. ამაზე ჩვენი სამხკორები ძლიერ სუსტად გვწერენ. სამხკორები გვწერენ რომ, ჩვენთან სისტემატიურად მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა, მხოლოდ არ გვწერენ რა უარყოფითი მხარეები აქვს მას, როგორია ამ დარგის მიღწევები და სხ.

გარდა ამისა უნდა იწერებოდეს აგრეთვე ნაწილის პარტიისა და კომკავშირის მუშაობაზე. აქაც საჭიროა ფაქტები: რას აკეთებს ნაწილის უჯრედი, ახკომკავშირის უჯრედი და ჯგუფი რას ფიქრობენ და როგორი შეხედულების არიან უჯრედზე უპარტიოები, როგორი ყურადღება ექცევა პარტ-წევრების პოლიტიკურ მომზადებას, არის თუ არა ლტოლვა კომკავშირისაკენ, ცოცხლად ტარდება კრებები თუ არა, როგორი ზომები უნდა იქნას მიღებული რომ გამოცოცხლდეს პარტიისა და კომკავშირის მუშაობა ნაწილში და სხ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დისციპლინის საკითხსაც. სამხკორი ამ შემთხვევაშიდაც უნდა სწერდეს სინამდვილეს და მოყავდეს მაგალითები.

ასევე უნდა შუქდებოდეს ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საკითხები.

მუშაობის მთავარი წესი უნდა იყოს; მისცე ფაქტები, ციფრები და გამოიტანო შენი დასკვნა, სწერო მოკლეთ და გარკვევით, ვინ გააკეთა, რა გააკეთა, როგორ გააკეთა, როდის და რატომ გააკეთა და სხ.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ზოგიერთი კორესპონდენციების მოუთავსებლობის მიზეზი არის ტეხნიკური მხარეებიც. ბევრ სამხკორს თავის კორესპონდენციაზე გვარის მოწერაც კი ავიწყდება. კორესპონდენციაზე შეიძლება ფსევდონიმის მოწერა, მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ იქვე სახელისა და გვარის მოწერაც. უამისოდ კი კორესპონდენციის დაბეჭდა შეუძლებელი იქნება.

ამასთანავე ერთად სამხკორებმა არ უნდა დაივიწყონ რომ, კორესპონდენციის წერის დროს, სწერონ მხოლოდ ერთ გვერდზე. ადვილი შესაძლებელია დღემდე ეს წესი მრავალმა არ იცოდა, მხოლოდ მომავალში ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

აუცილებელია აგრეთვე კორესპონდენციების თავის დროზე გაგზავნა რედაქციაში. ჩვენ ჯერ კიდევ ვღებულობთ კორესპონდენციებს ახალწვეულების ნაწილებში მოსვლის შესახებ, რომელსაც ამჟამად არავითარი ღირებულება არა აქვს. ყოველთვის დიდი ღირებულება აქვთ ახალ კორესპონდენციებს, რომელიც თავის დროზე უნდა მიეწოდოს რედაქციას.

მი.

# ვინ იქნება შემდეგი?

ოზურგეთის მაზრის სამაზრო თემის სამკითხველოსათვის ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს" ორი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს იმავე თემიდან: 1) ბესარიონ ნადირიძეს, 2) ვანო ნადირიძეს, 3) მელიტონ ნადირიძეს, 4) გერასიმე ნინიძეს და 5) იასონ წუწუნავას.

ნატანებიდან: 1) არტემ ტუღუშს, 2) სამსონ ნაკაიძეს და 3) გიორგი თოიძეს.

ბათომიდან: 1) კალოტე გოგიტიშვილს; 3-მე ლეგიონიდან: ილარიონ ჩხარტიშვილს; პოლიტიკური სკოლიდან გერასიმე გადახაბაძეს და აგრეთვე ყველა გულშემატკივარს, ვისაც უყვართ თავიანთი სოფელი და სურს მისი დაწინაურება. გამოიწერეთ ყველამ თქვენი სოფლებისათვის გაზ. „წითელი არმიელი".

3-მე ლეგიონის პოლიტხელი ისიდორე გოგიტიშვილი.

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს" და ვიწვევ გამოიწერონ ის შემდეგ ამხანაგებს: 5-თე ლეგ. 2-რე ათასეულის უფროსს ამხ. მ. სხიშვილს, ათასეულის სამხკომს ამხ. დუმბაძეს; ასეულის უფროსებს ამხ. ამხ. ბაქრაძეს და ფურცელაძეს; ოცის თავებს ამხ. ამხ. გურეშიძეს, გაპისონიას, რაზმაძეს, გორდელაძეს, ჯვებავას, ბუსკაძეს, ჩაგანავას და ტყვიამფრქვევ ასეულის პოლიტხელს ამხ. გრიშა ლომიას.

პ. ნ. ჩხაიძე.

# ამბები სოფლებიდან.

— **საბავშო სახლი სოფლათ.** წითელ-ქალაქის სათემო აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ადგილობრივ საბავშო სახლის მეკეთებას.

— **ფიზიკური კულტურა.** ახალციხის აღმასკომმა დაადგინა სოფლებში მოაწყოს გლეხი ახალგაზრდობის ფიზკულტურის წრეები.

— **სამედიცინო პუნქტების მოწყობა.** წალენჯიხში და ბაკურიანში ადგილობრივი აღმასკომები შეუდგენ სამედიცინო პუნქტების მოწყობას.

— **მოძრავი სამკითხველოები.** ახალციხის სამაზრო განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა შეუდგეს მოძრავი ქოხ-სამკითხველოების მოწყობას.

# ახალი ამბები.

— **ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობის შესახებ.** განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სასწავლებლის გამგეებს, მიიღონ ზომები რომ სკოლებში მყოფ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტებზე ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების მიზნით სამოსწავლო პუნქტებზე მისაწერათ.

— **საბჭოთა არჩევნების სასურველათ ჩასატარებლათ** საქ. ცაკმა დაადგინა არჩევნებისათვის საჭირო წინასწარი მუშაობა გააგრძელოს 1 თებერვლამდე. არჩევნები კი იწარმოებს 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

— **ფართლეულობის გაგზავნა.** გლეხკ. ცენტრალურმა კომიტეტმა ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებისათვის გაგზავნა 2 რონოდა ფართალი.

— **არტელების აღრიცხვა.** 1-ლი იანვრიდან მთელ საქართველოში დაიწყება ინვალიდთა არტელების ხელახალი აღრიცხვა.

— **სასოფლო-მეურნეობის შესწავლა.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მაზრებში არსებულ ცხრაწლედებში შემოიღოს სასოფლო-მეურნეობის შესასწავლათ სავალდებულო საგნები.

# პასუხი შეკითხვებზე.

**ვ. კარახანოვს.** წვევამდელს ჯამაგირი სრულად ეძლევა იმ დაწესებულებიდან, სადაც ის მსახურებდა.

**ა. კაკაურიძეს.** მიმართეთ არტლეგიონის თავს.

**ლ. ჭ—ძეს.** ჯამაგირების ახალი განაკვეთი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიის წითელ ლაშქარზე.

**ა. ფანცულაიას.** საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩასაბარებლად სახელმძღვანელოების და პროგრამის მიღება შეგიძლიათ ნაწილიდან.

**დ. აფციაურს.** ჯამაგირის მიხედვით (52 მან. თვეში) თითოეულ კვადრ. არშინში უნდა იხადოთ $4^1/_2$ კ., ე. ი. 30 კვ. არშ. $\times 4^1/_2 = 135$ კ.; ამას უნდა მოაკლო 25%, როგორც სამხედრო მოსამსახურე. თქვენ ბინის ქირად იხდით თვეში სულ 1 მან. და $1^1/_4$ კ.

**ნ. გარსევანიშვილს.** გვაცნობეთ რამდენს იღებთ ჯამაგირს და მაშინ შეგვიძლია გიპასუხოთ, თუ რამდენი უნდა იხადოთ ბინის ქირად.

**მ. საიჯანოვს.** თუ თქვენ მჭედლის სპეციალური კურსი გაიარეთ სამხედრო სამსახურში, მაშინ უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი, თუ არა ისე კი უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი. (სავალდებულო სამხედრო სამს. კანონი, მუხლი 34).

**წ. ა. სა—ძეს.** შამოიარეთ რედაქციაში.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## მოგვეცით ბიბლიოთეკაში სიარულის საშვალება.

### 1-ლი არტლეგიონი.

ეს რამდენიმე ხანია, რაც ლეგიონის მე-3 ბატარეია ყოველ დღიურად მეცადინეობს ბიბლიოთეკაში. ვერ გაგვიგია, თუ სხვა ბატარეიები მეცადინეობენ თავიანთ ყაზარმებში, რატომ მესამე ბატარეიას არ შეუძლია ასე მოიქცეს? ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ვერ შევსულვართ და ველარ ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს. საჭიროა გაანთავისუფლონ სამკითხველო, თორემ ასეთ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელია.

სამხკორი მე—ვარ.

### დაგვიცავით თაგვებისაგან.

### მე 2 არტლეგიონი.

ლეგიონის 1-ლ საველე დივიზიონში ძლიერ გამრავლდა თაგვები. პური და სხვა სანოვაგე ვერ შეგვინარჩუნებია. ყოველ ღამე ერთი აურზაური აქვთ და ძილს არ გვანებებენ. თაგვები ისე გამრავლდენ, რომ ხელებითაც კი ვხოცავთ. ყაზარმის იატაკი დახრულია სულ და ველარ ვაკავებთ. მიიღეთ ზომები იატაკის შესაკეთებლათ. დაგვიცავით თაგვებისაგან.

წ. არმ. პ. ბურკაძე.

### მოგვიწყვეთ საყარაულო შენობა.

**ბათომის გარნიზ. კომენდანტის საყურადღებოთ.**

გარნიზონის საყარაულო შენობებში მრავალ უწესრიგობას აქვს ადგილი. შენობებს არა აქვს ფანჯრები. მთელი ღამეები გვაკანკალებს სიცივე. ამას გარდა ბინებში არა გვაქვს განათება. მთელი საყარაულო შენობები წყვდიადშია გახვეული. დროა ბოლო მოეღოს ამ ნაკლულევანებებს.

წ. არმ. იზრაილკაციშვილი.

# საბიბლიოგრაფიო ბიუროს დაარსება.

ქართული დივიზიის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან დაარსდა ე. წ. საბიბლიოგრაფიო ბიურო. ასეთი ორგანოს დაარსება ჩვენი ნაწილების მასიურ მკითხველთა და ბიბლიოთეკის თანამშრომელთათვის, უსათუოთ მეტად საჭიროა და მიზანშეწონილი. ბიურო უმთავრესად შემდეგ მიზნებს ისახავს:—1) ნაწილების მიერ წიგნების შესყიდვის დროს, ხელმძღვანელობის გაწევა იმის და მიხედვით, თუ რომელ ტიპიურ ბიბლიოთეკის შევსება ხდება, ასეულის, ლეგიონის, გარნიზონის თუ სამხედრო სკოლებისათვის. 2) წიგნის ახალი ბაზრის გაცნობა ნაწილების ბიბმუშაკებისთვის, რომ უფრო ადვილათ და გეგმიანათ მოხდეს წიგნების ყიდვა იმ თანხებიდან, რომლებიც მათ ეძლევათ ლიტერატურის შესაძენათ. აქაც ცხადია გათვალისწინებული იქნება თუ რომელი ტიპის ბიბლიოთეკა იძენს ლიტერატურას. 3) ისეთი სარეკომენდაციო სიების შედგენა, რომლებიც დაეხმარება მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობას მიმდინარე კამპანიებისა და საჭირო საკითხების დამუშავება—ჩატარებაში. 4) მთელი მასალის დალაგება ორწლიან და პარტ-სკოლების პროგრამების მიხედვით, რომელიც გამოსადეგი იქნება სამხედრო კუთხეების, წვევამდელთა, ასეულის ბიბლიოთეკების კოლექტიურ აბონიმენტისა და სამხედრო საქმეებისთვის. 5) ბიბლიოგრაფიულ მასალების მიწოდება ყველა ადგილობრივ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 6) ბიბლიოთეკართათვის დახმარების გაწევა კლასიფიკაციის დროს, რომ თითოეულ ბიბლიოგრაფიას ზედ ერთოდეს წიგნის შესაფერი შიფრი; აგრეთვე სარეკომენდაციო სიებზედაც, რათა მკითხველმა შესძლოს წიგნის კატალოგებში ძებნის დროს გარკვევა. ეს ათწილად კლასიფიკაციას უფრო პოპულიარულადაც გახდის. 7) სამხედრო ლიტერატურაზე წარმოებს განსაკუთრებული მუშაობა სპეციალისტების საშვალებით.

ბიუროს შემადგენლობაში სულ 9 კაცი შედის, მაგრამ იქ კოოპტაციის წესით მოწვეული არიან სხვა და სხვა სპეციალისტებიც. უკვე შეუთანხმდით ყველა გამომცემლობებს, რომ მათ თითო ეგზემპლიარი ახლათ გამოსულ წიგნებისა, ერთი კვირით გადმოგვცენ საბიბლიოგრაფიოთ. მთელი ბეჭდითი სიტყვა, ათწილად კლასიფიკაციის მიხედვით დანაწილებულ ა ბიუროს თითეულ წევრზე და ყველა ვალდებულია თავის განყოფილებიდან სისტემატიურათ სწეროს ბიბლიოგრაფია—რეცენზია და ერთი კვირის განმავლობაში დააბრუნოს წიგნი-წერილობითი ბიბლიოგრაფიით.

საბიბლიოგრაფიო ბიუროს სხდომები ხდება ყოველ ორკვირეულათ. თითეულ ბიბლიოთეკარს შეუძლია და ყველას, საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო საქმით დაინტერესებულს, მიმართოს ბიუროს ამა თუ იმ საკითხზე, მაგ. ბიბლიოთეკის შევსების, კლასიფიკაციის და სხვა ამგვარ საკითხებზე. ბიურო თავის მუშაობაში სამოქალაქო ბიბლიოთეკებიც ჩაითრია.

ამგვარათ, როგორც ვხედავთ მას საკმაო პატივსადები და სერიოზული მიზნები აქვს დასახული. ეს მუშაობა, თუ შესაფერ ნიადაგზე დადგა—მარტო სამხედრო ნაწილების ინტერესების ფარგლებსაც კი ცილდება. იგი ფართო დახმარებას გაუწევს სოფლის ქოხ-სამკითხველოებს, პროვინციის სამხედრო და სამოქალაქო ბიბლიოთეკებს და სხვა.

ასეთი გეგმიანი საბიბლიოგრაფიო მუშაობა საქართველოში პირველი იქნება, მხოლოთ საჭიროა თავიდანვე ჯეროვანი ყურადღებითა და სიმპატიით მოპყრობა, როგორც ბიბლიოთეკარების, ისე ჩვენი ნაწილების ყველა თანამშრომლებისაგან.

გრ. შავგულიძე.

# ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-5 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში წევრად მიღების შესახებ ამხანაგებს—კ. პ. კანდიდატებს: 1—ლომია ალექსანდრეს, 2. ადამია გრიგორის (მეთაური), 3. ჩხეიძე ნიკოლოზს, (წ/მ) 4. გუჯაბიძე დავითს (წ. მ.)

კანდიდატათ:

1. ჩობანიშვილი მიხეილს (უპარტიო. ხემდეგი).

ვისაც რაიმე საწინაალმდეგო აქვს მათი მიღების შესახებ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება წერილობით ან გვაცნობოთ სიტყვიერათ. მე-5 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის პას. მგ.

მდივანი ნ. ჯანელიძე

# სამხედრო სამეცნიერო წრეების ყველა მდივნებს.

ოთხშაბათს დეკემბრის 23 წითელ არმიისა და ფლოტის სახლში (ნიკოლოზის ქუჩა 51 სკოლის გარეშე მუშაკის კაბინეტი მეორე სართული) 18 საათზე შესდგება სამხედრო სამეცნიერო წრეების მდივანთა თათბირი.

დღის წესრიგი: არმიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მოხსენება მდივანთა სრულიად საკავშირო თათბირის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

გარნიზონის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების პასუხის მგებელი

მდივანი გლუხარევი